საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემია

ქართული ენციკლოპედიის ი. აბაშიძის სახელობის მთავარი სამეცნიერო რედაქცია

ვარდელი კონსტანტინე პეტრეს ძე



ვარდელი კონსტანტინე პეტრეს ძე (დ. 5. V. 1939, ლენინგრადი), მევიოლინე. საქართვ. სახ. არტისტი (1980). შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. (1992) და ზ. ფალიაშვილის სახ. (1971) პრემიების ლაურეატი. თბილ. სახელმწ. კონსერვატორიის პედაგოგი (1966–90), პროფესორი (1984). 1963 დაამთავრა თბილ. ვ. სარაჯიშვილის სახ. სახელმწ. კონსერვატორია (პროფ. ლ. შიუკაშვილის კლასი). ჯერ კიდევ სტუდენტობის წლებში ეწეოდა აქტ. საკონცერტო მოღვაწეობას. იყო ქ. ვლადიმირის სიმებიანი კვარტეტის (ხელმძღვ. პროფ. ვ. კუბაცკი) წევრი. 1966-იდან საქართვ. სახელმწ. სიმებიანი კვარტეტის წევრია. კვარტეტთან ერთად მართავდა კონცერტებს სსრკ ქალაქებსა და საზღვარგარეთის ქვეყნებში (გერმანია, საბერძნეთი, ჩეხეთი, სლოვაკია, იტალია, შვედეთი, ფინეთი, სამხრ. ამერიკა, უნგრეთი, ჰოლანდია, ბელგია და სხვ.). ასრულებდა ქართველ, რუს და დას. ევროპის კომპოზიტორთა ნაწარმოებებს. 1990-იდან იყო გერმანიაში და 1998-მდე მონაწილეობდა ლ. ისაკაძის კამერულ ორკესტრში (I ვიოლინო). პერიოდულად მართავდა კონცერტებს საქართველოში (სიმებიანი კვარტეტის შემადგენლობაში). 2005-იდან კვლავ საქართველოშია. არის სიმებიანი კვარტეტის ლ. ვაინერის სახ. საერთაშ. კონკურსის ლაურეატი (კვარტეტის წევრებთან ერთად, 1973, ბუდაპეშტი).

ლ. საყვარელიძე